# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

23 იანვარი, ოთხშაბათი, 1991 წ.
№ 12 (10 425) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


**შეიქმნა ეროვნული თავდაცვის ფონდი. ფონდის სახელზე აგრომრეწვბანკის საქართველოს ყველა რაიონულ და საქალაქო განყოფილებაში თანხა შეგიძლიათ შეიტანოთ**

# მე-700

**ანგარიშზე. თანხის გადარიცხვის თაობაზე გვაცნობეთ.**

● თბილისის ვაზისუბნის IV მიკრორაიონის I კვარტალის მე-13 კორპუსის მცხოვრებლებმა ეროვნული თავდაცვის ფონდში გადარიცხეს 1 400 მანეთი (გვაცნობა თ. შათირიშვილმა). თანხების შეგროვება გრძელდება.

● საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო კვლევითი ინსტიტუტის პირველკურსელმა ლაშა ჩაჩუამ პირადი დანაზოგიდან ეროვნული თავდაცვის ფონდისათვის გაიღო 100 მანეთი.

**სამაჩაბლოს ალორძინების ფონდი: საქართველოს მრეწვმშენბანკის საოპერაციო სამმართველო სფბ № 521921**

# 007 00750

**თანხის გადარიცხვის თაობაზე გვაცნობეთ.**

**სამაჩაბლოს ალორძინების ფონდი ეროვნულ ფონდად იქცა!**

● კულტურის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირების თბილისის წიგნის ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირების გაერთიანებული კომიტეტი — 3 000 (გვაცნობა ბ. ბარბაქაძემ).

● თერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი — 7 000 (ნ. ყიფშიძე).

● სამგორის რაიაღმასკომის რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ძირძველ ქართველთა ასოციაცია — 400 (ქვლივიძე, დეპეშით).

● მეორეული საფეიქრო ნედლეულის გადამამუშავებელი ფაბრიკა — 5 000 (მ. არაყიშვილი).

● ნუგზარ ლონდაძე—ტაქსმოტორების III საწარმოს მექანიკოსი—500.

### ცაგერი

მტპ რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმოს კოლექტივი — 2 000 (მ. ჩაკვეტაძე).

### ზესტაფონი

მრეწვმშენბანკის განყოფილების კოლექტივი — 1500 (ლომინაშვილი, დეპეშით).

### ხაშური

№ 239 სამკერვალო კოოპერატივი „ენძელა" — 1 000 (გ. ოსკანოვი, და სხვანი).

# საქართველოს სპორტსმენები— ეროვნულ მილიციას

ამ გაჭირვების ჟამს სხვა რა გადაგვარჩენს, თუ არა ერთმანეთისადმი მხარში ამოდგომა და ნუგეშის ცემა. სწორედ თანადგომის საუკეთესო მაგალითია საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობის გადაწყვეტილება, დაეხმაროს სამაჩაბლოში მყოფ ეროვნულ მილიციას. ეს დახმარება განხორციელდა ეტაპობრივად. ჯერ საქართველოს სპორტის მსახურნი სურსათ-სანოვაგეს, თამბაქოს, ტანსაცმელს და ყოველდღიური ყოფისთვის აუცილებელ სხვა საგნებს მიაწვდიან ჩვენს თანამემამულეებს.

ჩვენს მილიციას დახმარების ხელი გაუწოდეს საწყლოსნო-სპორტულმა კომპლექსმა „ვერემ" (დირექტორი ვ. გოიაშვილი), ტრესტ „საქსპორტრემმშენმა" (მმართველი თ. აბუსერიძე), სპორტსახკომის სპორტულ ნაგებობათა სამმართველომ (უფროსი თ. რუხაძე), ტანვარჯიშის უმაღლესი დაოსტატების სკოლამ (დირექტორი მ. ჯუღელი).

# ოქროს ქამრებით— სტოკჰოლმიდან

ამ ტურნირს, შვეციის დედაქალაქის სარბიელზე რომ ჩატარდა, ასეთივე მასშტაბის მოყვარულ მოკრივეთა საერთაშორისო ასპარეზობებისგან ის გამოარჩევდა, რომ გამარჯვებული გუნდისა და პრიზიორი სპორტსმენებისათვის ფულადი ჯილდო იყო დაწესებული. საგულისხმოა ისიც, რომ ამ მოზრდილთა შეჯიბრებაში სხვა საბჭოთა ჭაბუკებთან (დიახ, ჭაბუკებთან) ერთად საქართველოს წარმომადგენლებიც გამოდიოდნენ. მათ შესანიშნავად განვლეს ეს ურთულესი ბრძოლები — უპრიზოდ არავინ დარჩენილა.

კრივის მოყვარულები კარგად იცნობენ ფოთელ მოკრივეებს — მეორე უმჩატესი წონის კობა გოგოლაძეს, ქვემსუბუქი წონის პაატა გვასალიას და მძიმეწონოსან ზურაბ სარსანიას (ყველა — „შევარდენი"), რომელთაც დეკემბრის შუა რიცხვებში ბრწყინვალედ იასპარეზეს თბილისის IX ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" პრიზზე. ამ სამეულს არც სტოკჰოლმის რინგზე შეურცხვენია თავი.



ზურაბ სარსანია

საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა თანატოლთა შორის და თასის მფლობელმა კ. გოგოლაძემ ოთხივე ბრძოლა დიდი უპირატესობით წარმართა და პირველ ადგილზე გავიდა. მას გადაეცა აგრეთვე სპეციალური პრიზი საუკეთესო ტექნიკისათვის. წარმატებით ჩაება ტურნირში ევროპის ჩემპიონი პ. გვასალიაც, რომელმაც პირველ ბრძოლაში „მშრალად" — 5:0 სძლია ძლიერ თურქ მოკრივეს, მაგრამ ნახევარფინალში წაიფორხილა და საბოლოოდ მესამე ადგილს დასჯერდა. ერთნაირი შედეგით — 5:0 დაამთავრა სამი შეხვედრა ზ. სარსანიამ და პირველი ადგილი დაიკავა. ამ სამეულთან ერთად ტურნირში იბრძოდა თბილისელი მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკთა შორის არმენ ბურდიანცი („მართვე"), რომელმაც ამჯერად ნახევარფინალამდე მიაღწია და მესამე ადგილს დასჯერდა. ტურნირის გამარჯვებულები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები: კ. გოგოლაძე და ზ. სარსანია, რომელთაც სურათებზე ხედავთ, ოქროს ქამრებით დაჯილდოვდნენ.



კობა გოგოლაძე

## მატიანე

ქართული სპორტის ისტორია მდიდარია ასეთი ბრწყინვალე მოვლენებით. ამავე დროს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ 1962 წლის 17 ოქტომბრიდან ქალთა მსოფლიო ჭადრაკში დაიწყო ქართული ერა და მას საფუძველი ნონა გაფრინდაშვილმა ჩაუყარა.

ნონას მრავალწლიანი „ბატონობის" დასაწყისში მისი პირველი „მსხვერპლი" იყო მანამდე დაუმარცხებელი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ელისაბედ ბიკოვა. აქედან დაიწყო ჩვენი მოჭადრაკე ქალების ძლევამოსილი გამარჯვებები მსოფლიო სარბიელზე, რომელმაც შორს გაუთქვა სახელი ქართველი მანდილოსნის ნიჭიერებას, მის გასაოცარ ალღოს, უნარსა და შემართებას.

ნონამ საფუძველი ჩაუყარა ქალთა ჭადრაკის ეროვნულ სკოლას და ამ თამაშის სიყვარულის სენი ბევრ ქართველ გოგონას შეჰყარა. ისინი მოედვნენ მთელს საჭადრაკო სამყაროს, ბევრი უმაღლესი მწვერვალი დაიპყრეს, ბევრის დალაშქვრას კვლავაც აპირებენ და ბედნიერნი არიან იმით, რომ მათ ნონა გაფრინდაშვილის სახით საიმედო ნიშანსვეტი და მაგალითი ჰყავთ.

ამ პირველი დიდი გამარჯვების შემდეგ თითქმის სამი ათეული



წელი გავიდა, მაგრამ იგი დღესაც ძველებურად აფორიაქებს ქართველი სპორტის მოყვარულის გონებას. ნონა — მოჭადრაკე მუდამ მაგალითი იყო და არის, მაგრამ იგი მისაბაძია არა მარტო როგორც სპორტსმენი, არამედ, როგორც მოღვაწე და პიროვნება — კეთილგონიერი, თავმდაბალი, კორექტული, უაღრესად გულისხმიერი, დამხმარე და გვერდში ამომდგომი...

იმ შორეულ 1962 წელს სამშობლოში დაბრუნებულ პირველ ჩემპიონს აღფრთოვანებით შეხვდნენ თანამემამულენი. ნონას გამარჯვებას მთელი საქართველო ზეიმობდა. ამ სურათზეც სწორედ ზეიმის ერთი მომენტია აღბეჭდილი: გვირგვინოსან ჩემპიონს პირველ წარმატებას ულოცავს მეორე სახელმოხვეჭილი ქართველი სპორტსმენი რომან რურუა.

# არეული კალენდარი და გაურკვეველი პერსპექტივები



კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარი ამ ბოლო დროს ხშირად ირღვევა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში პოლიტიკური სიტუაციის გამწვავებისა და საერთო არასტაბილური მდგომარეობის გამო. ორიოდე დღის წინ რიგის რადიომ გადასცა ლატვიის სპორტსახკომის თავმჯდომარის დ. შვეიცის განცხადება, რომლის თანახმადაც, შეჩერებულია ადგილობრივ სპორტსმენთა მონაწილეობა საკავშირო ჩემპიონატებში. ცხადია, ეს გადაწყვეტილება კალათბურთზეც ვრცელდება.

21 იანვრისათვის ვაჟთა ჩემპიონატის „ბ" ქვეჯგუფის სატურნირო ცხრილი გამოიყურებოდა ასე:

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თბილისი) | 8 | 7 | 1 | 15 |
| აზკ (რიგა) | 9 | 6 | 3 | 15 |
| რტი (მინსკი) | 7 | 7 | 0 | 14 |
| „ავტოდოროჟნიკი" (სარატოვი) | 9 | 4 | 5 | 13 |
| „სტროიტელი" (ირკუტსკი) | 7 | 5 | 2 | 12 |
| „იმპულსი" (კრასნოდარი) | 8 | 4 | 4 | 12 |
| „ლოკომოტივი" (ნოვოსიბირსკი) | 8 | 4 | 4 | 12 |
| „შახტიორი" (ნერიუნგრი) | 7 | 4 | 3 | 11 |
| „სტროიტელი" (მოსკ. ოლქი) | 8 | 2 | 6 | 10 |
| „სტროიკერამიკა" (დონეცკი) | 9 | 1 | 8 | 10 |
| „კრასნი კოტელშჩიკი" (ტაგანროგი) | 6 | 3 | 3 | 9 |
| „დინამო" (ფრუნზე) | 8 | 0 | 8 | 8 |

რამდენიმე სიტყვა იმაზეც, თუ რა მდგომარეობაა „ა" ქვეჯგუფში. ლიდერთა სამეულში არიან... თუმცა, აქაც გუნდებს არათანაბრად აქვთ ჩატარებული შეხვედრები, ამიტომ, ლიდერებზე შეგვიძლია მხოლოდ დაკარგული ქულების მიხედვით ვიმსჯელოთ. თითო დამარცხება აქვთ ლენინგრადის „სპარტაკსა" და ტალინის „კალევს", მაგრამ მათ, შესაბამისად, ნაკლები მატჩები ჩაატარეს — ნევისპირელებმა — 5, ესტონელებმა — 4. ასე რომ, მათზე უკეთეს მდგომარეობაში არიან ალმა-ათის არმიელები, რომლებმაც რვა შეხვედრიდან ექვსი მოიგეს.

სატურნირო ცხრილში ბოლო სამი ადგილი უკავიათ: ნიკოლაევის ნკი-ს, ტაშკენტის „უზსტროიმეხანიზაციას" და ლუგანსკის „სპარტაკს".

# „ჯენტლმენის" სასტარტო გამარჯვება

მას შემდეგ, რაც სპორტული ნარდი დაინერგა საქართველოში და შეიქმნა ნარდის ეროვნული ფედერაცია, ბუნებრივია, სპორტის ამ სახეობის ქართველი გულშემატკივრები გაფაციცებით ადევნებენ თვალს ნარდის საერთაშორისო ტურნირებს, მით უმეტეს, სულ მალე, ალბათ, არც ერთი ამგვარი შეჯიბრება არ დარჩებათ მოუსინჯავი „კამათლის" ქართველ ოსტატებს.

1991 წლის სანარდო სეზონი ავსტრიის ქალაქ ზიფილდში გაიხსნა, სადაც მსოფლიო ნარდის ფედერაციის ოფიციალური ტურნირი „ტიროლის თასი" გათამაშდა.

ამ შეჯიბრების გამარჯვებული გახდა გერმანელი მონარდე, საქართველოს შარშანდელი ღია პირველობის ერთ-ერთი მონაწილე ჰაინრიხ ჰაუსლაიტერი, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში გამართულ პირველ საერთაშორისო ტურნირზე ნარდის ქართველმა გულშემატკივრებმა ყველაზე ჯენტლმენურ მოთამაშედ აღიარეს. ჩვენს სამშობლოში მოპოვებულ ამ „მორალურ ჯილდოს". ჰ. ჰაუსლაიტერმა ზიფილდში „მციერედენი" თანხაც წაამატა — 120 000 შვეიცარიული ფრანკი და ტურნირის მთავარი პრიზი.

წელი შარშანდელი...

# არგუმენტები საკმარისია

**დამთავრდა** საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატი, სატურნირო ცხრილში განაწილდა ყველა ადგილი, ვნებათაღელვა ოვალური ბურთის გარშემო დაცხრა და ჩვენც, ახლა უკვე დამშვიდებულებმა, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ეროვნული ჩემპიონატი და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული მოვლენები.

გვახსოვს შარშან თებერვალში, როდესაც ჩემპიონატის ჩატარება-არჩატარების საკითხი წყდებოდა, აღინიშნა, რომ თავს იჩენდა უამრავი სიძნელე, რომელთა დაძლევაც დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. ვარაუდი გამართლდა — უამრავი დაბრკოლება გამოჩნდა, რომელთაგან ზოგი გადაილახა, ნაწილი კი კვლავ გადასაჭრელია, და, თუ არ მივხედეთ, კვლავ დიდხანს იდგება „დღის წესრიგში".

გათამაშების კალენდრით დავიწყოთ. ეს გახლავთ ჩემპიონატის ყველაზე „მტკივნეული წერტილი". მოგეხსენებათ, ჩვენი გუნდების ერთი ნაწილი საკავშირო პირველობაზე ასპარეზობდა. ამის გამო, ეროვნული და საკავშირო ჩემპიონატების მატჩები ხშირად ემთხვეოდა ერთმანეთს და საქართველოს რაგბის კავშირი (სრკ) იძულებული იყო, გუნდების თხოვნით, რამდენიმე შეხვედრა გადაეტანა. ეს „გადატანა-გადმოტანა" ისე უსაშველოდ გაჯანჯლდა, რომ საქართველოს ჩემპიონატი, რომელიც 10 ნოემბერს უნდა დამთავრებულიყო, 9 დეკემბერს ძლივს დასრულდა.

ამით თავგაბეზრებულმა დანარჩენმა გუნდებმაც რამდენჯერმე პროტესტი განაცხადეს და ერთიორჯერ საქმე მატჩების ჩაშლამდეც კი მივიდა.

ცხადია, ყველაფერმა ამან ძლიერ ავნო საქართველოს ჩემპიონატს. საკავშირო ჩემპიონატში გამოსვლა აქ მოასპარეზე საქართველოს გუნდების საქმეა, მაგრამ დროა ბოლო მოეღოს ამ უწესრიგობას ერთადერთი უმთავრესი მიზნის გამო — სრკ უყოფილად ჩატარდეს ეროვნული ჩემპიონატი.

სეზონის დასასრულს ერთგვარად მოწესრიგდა სტადიონების საკითხიც. რაიონებში ეს პრობლემა თითქმის არც მდგარა, მაგრამ თბილისში მან თავიდან ბევრი უხერხულობა გამოიწვია. საბედნიეროდ, მეორე წრეში სარაგბო გუნდების და სტადიონების ხელმძღვანელების შეთანხმებით საქმე გამოსწორდა და დარჩენილი მატჩებიც გაუგებრობის გარეშე ჩატარდა. განსაკუთრებით ყურადღებით მოეკიდნენ ჩემპიონატს ვაკის და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონების ხელმძღვანელები. შეხვედრათა უმრავლესობა ხომ ამ ბაზებზე ჩატარდა და საკმაოდ მაღალ დონეზეც.

მაგრამ სარაგბო მოედნები მაინც არ არის იმდენი, ჩემპიონატს რომ ესაჭიროება. გაჭიანურდა გლდანის კომპლექსის მშენებლობა და დღესდღეობით თბილისში მხოლოდ ორ-სამ გუნდს თუ აქვს დამაკმაყოფილებელი (და არა კარგი!) სავარჯიშო პირობები. დანარჩენი გუნდების „სარეზერვო ასპარეზი" საშინელ დღეშია, მათ პირობითად თუ შეიძლება ვუწოდოთ მოედნები.

შემდეგი, მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც თან სდევდა ჩემპიონატს, გახლდათ მაღალკვალიფიციურ მსაჯთა დეფიციტი. მაგალითად, ზოგიერთ თამაშს მონაწილე გუნდის წარმომადგენელი სჯიდა ხოლმე. ცხადია, ეს ხშირად იწვევდა უკმაყოფილებას: იყო გაუგებრობა, გაუთავებელი კამათი და კინკლაობა. საბედნიეროდ, საქმე სერიოზულ დარღვევამდე არ მისულა.

აქვე ვიტყვით, რომ ზოგიერთი მსაჯი გაურკვეველი მიზეზის გამო, თამაშზე არ ცხადდებოდა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მათი არყოფნა სერიოზულად ვნებდა მატჩის ხარისხს. მიუხედავად ამისა, მსაჯთა კორპუსისადმი, რომელსაც ხელმძღვანელობს მცოდნე არბიტრი გოჩა აბაშიძე, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, რადგან შეხვედრების მომსახურე რამდენიმე ენთუზიასტი მსაჯი რომ არა, ჩემპიონატი უთუოდ ჩაიშლებოდა.

ახლა კი სპორტულ მხარესაც გადავხედოთ და ვნახოთ, ვინ როგორ დაასრულა გათამაშება. გუნდები, პირობითად, სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: ლიდერები (I-IV ადგილები), საშუალო სიძლიერის გუნდები (V-IX) და აუტსაიდერები (X-XII). უჩვეულოა, მაგრამ დავიწყოთ აუტსაიდერებით.

წყალტუბოს „სათაფლიას" აუტსაიდერთა რიგებში მოხვედრა ერთგვარად კანონზომიერი იყო — გუნდი უშუალოდ ჩემპიონატის დაწყების წინ შეიქმნა, იგი ახალგაზრდულია, მოთამაშეთა საშუალო ასაკი 16-17 წელია. „სათაფლია" თანდათან იძენდა გამოცდილებას, იწრთობოდა და ბოლოს „უძალიანდებოდა" კიდეც თავისზე ძლიერ მეტოქეებს. ერთი სიტყვით, წყალტუბოელთა მწვრთნელის ბორის ზიბზიბაძის მუშაობას უკვალოდ არ ჩაუვლია: აშკარაა, წყალტუბოში ძლიერი სარაგბო კერა ყალიბდება.

კრიზისს განიცდის თბილისის „უნივერსიტეტი". გუნდში ძალიან გაგრძელდა თაობათა ცვლის პროცესი, ვერ ჩამოყალიბდა ოპტიმალური შემადგენლობა. უნივერსიტეტელებმა ჩემპიონატში ყველაზე მეტი მორაგბე გამოიყვანეს, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს და ბოლო ადგილზე დარჩნენ.

აი, საქართველოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონის „ზოოვეტის" წარუმატებლობამ დიდი გაკვირვება გამოიწვია. შარშანდელი სეზონის მიხედვით, ისე ჩანდა, რომ გუნდი ერთობ პერსპექტიული იყო. მაგრამ ზოოვეტელები ბოლო წუთებზე აგებდნენ თითქმის მოგებულ თამაშებს და მხოლოდ ამით დაგვამახსოვრეს თავი.

„საშუალო" გუნდებიდან ყველაზე სასიამოვნო შთაბეჭდილება ჭიათურის „იმერეთმა" დატოვა, მის მიერ დაკავებული მეექვსე ადგილი ერთგვარ მოულოდნელობადაც შეიძლება მივიჩნიოთ. მართალია, გუნდი 15 წელიწადია რაც არსებობს, მაგრამ შარშანდელ სეზონამდე ოთხ-ხუთ თამაშს თუ ატარებდა მაშინდელი საქართველოს ჩემპიონატების „შეკვეცილი პროგრამით". მოკლედ, გუნდს სათამაშო პრაქტიკა თითქმის არც კი ჰქონია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჭიათურელებმა არაერთ მეტოქეს „გაუმწარეს სიცოცხლე". და ღირსეულად იასპარეზეს ჩემპიონატში, რაც მოთამაშეების და მათი ენთუზიასტი მწვრთნელის ვახტანგ დეკანოსიძე დიდ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს.

მეტს ველოდით შარშანდელი ჩემპიონის ქუთაისის „გელათისაგან". როგორც ჩანს, გუნდმა ვერ გაუძლო „ორ ფრონტზე ბრძოლას" და მისთვის შეუფერებელ მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა. არადა „გელათს" მეტი შეუძლია...

თბილისის სტუდენტური გუნდები სტუ და „შევარდენი" მეორე ეტაპზე საკმაოდ სტაბილურად თამაშობდნენ, მატჩების უმრავლესობა მოიგეს და მნიშვნელოვნადაც გააუმჯობესეს თამაშის ხარისხი. ყველა გააოცა თბილისის „აკადემიამ", რომელმაც ძალზე არათანაბრად იასპარეზა. ფავორიტებთან გამარჯვებას აუტსაიდერებთან სენსაციური დამარცხებები ენაცვლებოდა და ამის გამო მხატვრებმა უფრო მაღალი ადგილებისთვის ბრძოლის შანსი დაკარგეს.

ჩემპიონატის მესამე პრიზიორი „მიმინო" ზუსტად იმსახურებს მიღწეულს. რაგბის მოყვარულებს ალბათ ახსოვთ მათი დრამატული მატჩი მესამე ადგილისათვის თბილისის „ასოციაციასთან", სადაც მიმინოელებმა ბოლო წუთზე გამოგლიჯეს მეტოქეს გამარჯვება. ასოციაციელებს ალბათ ძალიან სწყდებათ გული ამ ფაქტზე, მაგრამ მათ შეუძლიათ თავი იმით დაიმშვიდონ, რომ ოთხეულში მოხვდნენ და ლამაზი, კომბინაციური თამაშით სიამოვნება მიანიჭეს გულშემატკივრებს.

პირველი ორი ადგილი კი საქართველოს უძლიერესმა კოლექტივებმა გაიყვეს. მართლაც, „აია" და „ელმავალი" მეტოქეებზე მთელი თავით მაღლა იდგნენ როგორც ფიზიკური, ასევე ტექნიკური და ტაქტიკური მომზადებითაც. მოგეხსენებათ, „ელმავალმა" წელს ორჯერ დამაჯერებლად სძლია „აიას", ფინალური მატჩიც თითქოს მას უნდა მოეგო, მაგრამ...

ქუთაისელებმა კიდევ ერთხელ გვიჩვენეს, რომ შეუძლიათ გადამწყვეტ მომენტებში ძალების კონცენტრაცია. ეს გუნდის დიდ გამოცდილებასა და სიძლიერეზე მეტყველებს, სწორედ მისი მეშვეობით ქუთათურებმა შარშან მოპოვებულ საკავშირო თასს უფრო საპატიო ტიტული — საქართველოს ჩემპიონობა მიუმატეს. „აიაზე" ბევრი დაწერილა და ბევრიც დაიწერება, ასე რომ, ამჯერად თავს აღარ შეგაწყენთ, ოღონდ დავძენთ, რომ საქართველოს მართლაც ღირსეული ჩემპიონი ჰყავს.

თბილისის „ელმავალმა" ერთობ სტაბილურად და შთამბეჭდავად ითამაშა. რკინიგზელებმა ჩინებულად, დაუმარცხებლად განვლეს მთელი ჩემპიონატი და მხოლოდ ფინალში წაიბორძიკეს. მიუხედავად ამ წარუმატებლობისა (თუკი მეორე ადგილს წარუმატებლობა შეიძლება ვუწოდოთ), უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ორ წელიწადში „ელმავალმა" საგრძნობლად აიმაღლა სათამაშო კლასი და ცოტა ხანში, შესაძლოა საქართველოს უძლიერეს გუნდადაც მოგვევლინოს.

მაშ ასე, გასრულდა საქართველოს XXIII ჩემპიონატი, რომელიც ამავდროულად პირველი ეროვნული ჩემპიონატი იყო. რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ?

პირველი: ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა უძლიერესმა გუნდმა და ამის გამო მას მეტი ლაზათი შეემატა.

მეორე: ამაღლდა სტუდენტური და რაიონული გუნდების ოსტატობა — ისინი უკვე თავისუფლად ეტოქებიან ე. წ. „დიდ გუნდებს".

მესამე: სეზონის დაწყების წინ გამოთქმული ეჭვი, რომ „დიდი გუნდების" თამაშის ხარისხი დაქვეითდებოდა, უსაფუძვლო აღმოჩნდა. ძლიერები იმავ დონეზე დარჩნენ, შედარებით სუსტები კი რამდენიმე ნაბიჯით მიუახლოვდნენ მათ.

ვფიქრობთ, არგუმენტები საკმარისია იმისათვის, რომ მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადოთ; ჩემპიონატმა გაამართლა!

რაც შეეხება პრობლემებს, მათი უეცარი გადაჭრა არ მოხერხდება. მათ გადასაწყვეტად და სხვა მრავალი საკითხის განსახილველად საქართველოს რაგბის კავშირმა ახლახან გამართა ყრილობა, რომელზეც დაისახა გზები ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, მეტი უფლება-მოვალეობანი მიეცათ რაგბის კავშირის კომიტეტებს. ჯერჯერობით ღიად დარჩა ჩვენი გუნდების საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის საკითხი. ამის თაობაზე თავად გუნდები იმსჯელებენ და გადაწყვეტილებებს უშუალოდ ჩემპიონატის დაწყების წინ გვცნობენ.

ყრილობამ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტად კვლავ აირჩია ალექსი გოცირიძე. ვიცე-პრეზიდენტებად — ვეტერანი მორაგბეები: ნოდარ ყიფიანი, ირაკლი კიზირია და შალვა ქურციკიძე, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარედ ვიცე-პრეზიდენტის სტატუსით — აგრეთვე ვეტერანი მორაგბე თამაზ ანდღულაძე.

ახლა სიტყვა მათზე და რაგბის კავშირის ახალარჩეულ პრეზიდიუმზეა!

**მერაბ რატიშვილი**



# „300 არაგველს" — დახმარება და თანადგომა!

**სპორტულ**-გამაჯანსაღებელმა კომპლექსმა — „300 არაგველი", რომელიც ადრე ჯერ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, შემდეგ კი ამავე სამმართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოებას ექვემდებარებოდა და „ლოკომოტივის" აუზად იწოდებოდა, სულ ახლახან შეიცვალა სახელწოდება და, ამასთან, პროფილიც.

კომპლექსის დირექციას მეტად მნიშვნელოვანი გეგმები აქვს — აქციოს ბაზა ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო სპორტულ ობიექტად. სწორედ ამ გეგმებზე, პერსპექტივებზე და, კიდევ, წარმოჩენილ პრობლემებზე გვესაუბრება „300 არაგველის" დირექტორი ბატონი ზურაბ კოპაძე:

— იმისათვის, რომ ყოფილი „ლოკომოტივის" საცურაო აუზი ქცეულიყო თანამედროვე ტიპის სპორტულ ობიექტად და მის ბაზაზე მოგვეწყო სხვადასხვა სახისა და დანიშნულების სპორტული ბაზები, საჭიროდ ჩავთვალეთ აუზი გადასულიყო იჯარაზე. ეს პრობლემა შედარებით იოლად მოვაგვარეთ და მივაღწიეთ შეთანხმებას ამიერკავკასიის რკინიგზის პროფკავშირების სპორტის მესვეურებთან.

შეთანხმება ორმხრივ ხელსაყრელია: 3 წლის ვადა მოგვეცა ბაზის რეკონსტრუქციისათვის. ამ ხნის მანძილზე ჩვენგან არ თხოულობდნენ შემოსავლის არც ერთ კაპიკს. 3 წლის შემდეგ, როცა ფეხზე დავდგებით, მას გადავუხდით ჩვენი შემოსავლის 20%-ს. ჩვენ მოგებულნი ვართ იმიტომ, რომ 3 წელიწადში გვექნება საშუალება, დამოუკიდებლად გადავწყვიტოთ აუზის, და საერთოდ კომპლექსის, ბედი (აუზი მალე იქცევა გამაჯანსაღებელ სპორტულ კომპლექსად), განვსაზღვროთ მისი პროფილი და დანიშნულება; რკინიგზელთათვის კი იმიტომ არის ხელსაყრელი, რომ მათ ადრეც უჭირდათ აუზის შენახვა, ახლა ეს პრობლემა აღარ ექნებათ და, პირიქით, მატერიალურ მოგებასაც ნახავენ.

გარდა ამისა, დაგვეხმარებიან სპონსორებიც. რა თქმა უნდა, შემოსავლიდან გარკვეულ თანხას მათაც ვუწილადებთ, სამაგიეროდ, გვპირდებიან, რომ კომპლექსის თითოეული ობიექტი თანამედროვე მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

დღესდღეობით აუზში ყველაფერი გასარემონტებელია. რეკონსტრუქციის გარდა გვინდა რაციონალურად გამოვიყენოთ ის ტერიტორია, რომელიც 600-კაციან ტრიბუნებს უკავია — დღემდე ერთი მაყურებელი არ მინახავს ამ ტრიბუნებზე და უმჯობესია ეს ადგილი ავითვისოთ და ტრიბუნების ნაცვლად ავაშენოთ 3 დარბაზი. სხვადასხვა ფუნქციისა, სადაც გაიხსნება ფასიანი ჯგუფები და მსურველები სპორტის რამდენიმე სახეობაში ივარჯიშებენ. აშენდება ხელოვნურსაფარიანი ჩოგბურთის კორტი, ხოლო არსებული ერთი კორტი შეკეთდება და დაიგება ახალი საფარი. აუზები მოსაპირკეთებელია. აქ მალე გავხსნით ფასიან ჯგუფებს სხვადასხვა ასაკის ადამიანებისთვის; აბონემენტებიც განსხვავებული ღირებულებისა იქნება, რათა მოსახლეობის ყველა ფენას ხელი მიუწვდეს მათზე. მთლიანად შესაცვლელი და შესარემონტებელია გათბობის და ელექტროობის სისტემა. მოკლედ, გასაკეთებელი უამრავია, მაგრამ ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი და, იმედია, ყველა პრობლემას დადებითად გადავწყვეტთ.

ახლა კი ერთ საკითხს მინდა მივაპყრო თქვენი ყურადღება. აუზის გარეთ, მის მიმდებარე ტერიტორიაზე ამოდის გოგირდის სამკურნალო წყალი, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე უმიზნოდ, უსარგებლოდ იკარგება. არადა, რამდენი სიკეთის მოტანა შეუძლია მას. პარადოქსია — თბილისში, გოგირდის აბანოებში, გოგირდის წყალი არ არის, სახელწოდება მაინც ასეთი ჰქვია, აქ კი, ღვთით ნაბოძებ სიკეთეს უაზროდ ვფლანგავთ. ჩვენ განზრახული გვაქვს ამ ადგილზე ავაშენოთ სარეაბილიტაციო ცენტრი და ბავშვთა წყლის სასრიალო ატრაქციონი; შემდგომში, თუ ხელი შეგვეწყო, ჩოგბურთის ორი კორტი და მინიფეხბურთის მოედანი. წყალი, რომლის მნიშვნელობა, ვინ იცის, რაოდენ დიდია, ჩადგება ხალხის სამსახურში და ამით მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების კიდევ ერთ კერას ჩაეყრება საფუძველი.

ჩვენი განზრახვა ვაცნობეთ ავლაბრის რაიონის აღმასკომს, საიდანაც პასუხად მივიღეთ, რომ მთავარ არქიტექტურულ დაგეგმარებით სამმართველოს გადაუწყვეტია, ამ ადგილას აშენდეს რეზერვუარი და წყალსაქაჩი. ამიტომ ჩვენი თხოვნის დაკმაყოფილება არ მოხერხდა. სამმართველოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება მიუღია შარშან, აპრილში, დღემდე კი თითი არავის გაუნძრევია, რომ აქ „აშენდეს რეზერვუარი და წყალსაქაჩი". წყალი კი მოედინება და, იმის ნაცვლად, რომ ათასგვარი დაავადებით შეპყრობილმა თბილისელებმა იგი სამკურნალოდ გამოიყენონ, მას აქტიურად იყენებენ თბილისელი ავტომოყვარულები, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში მანქანებს რეცხავენ და ქმნიან ანტისანიტარიას, რასაც ხელს უწყობს ამ ტერიტორიის თვითნებურ ნაგვის საყრელად გადაქცევაც.

აჰა რომ, ბევრ სასიკეთო საქმეს ვაპირებთ, უამრავი გეგმაა განსახორციელებელი. სწორედ ახლა გვჭირდება ხელშეწყობა და დახმარება, რათა კიდევ ერთი კეთილმოწყობილი სპორტული კომპლექსი ჩადგეს ხალხის სამსახურში. დიახ, ველით დახმარებას და არა ათასგვარი დადგენილებებით და უმოქმედო გადაწყვეტილებებით ხელის შეშლას.

ბიბლიოთეკა

# ყოველი ჩვენგანის გადია...,

საკმაო ხანი ვისაუბრეთ. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელი ასეთ საინტერესო საუბარში ამიყოლიებდა. თავიდანვე იმ უბანზე რომ ჩამომიგდო სიტყვა, სადაც გაიზარდა და ბურთს პირველად დაარტყა ფეხი, მივხვდი — იმ კითხვაზე მივიღებდი პასუხს, ფეხბურთის ყველა მოყვარულს რომ აღელვებს — საიდან მოდიან ნიჭიერი მოთამაშეები. გია ნემსაძესთან საუბრის მერე კიდევ უფრო განმიმტკიცდა რწმენა — კარგი ფეხბურთელის აკვანი იმ უბანში დაირწევა, სადაც ბიჭის და ბურთის განუყრელად ერთად ყოფნა დიდი ხნის ტრადიციაა.

...დრო იყო, ნაძალადევის რაიონის ის ნაწილი, რომლის „ცენტრად" კინოთეატრი „საქართველო" ითვლებოდა, ფეხბურთით სუნთქავდა. კაცი თუ იყავი, ბურთი უნდა გეთამაშა — ეს ისეთი ჭეშმარიტება იყო, წვეთი წყალი არ გაუვიდოდა. როგორი ბურთაობა ხცოდნიათ და როგორი მობურთალნი ჰყოლიათ?! ყველა კაცური საქმის მოთავე თემურ გიორგაძე გახლდათ და იმ ფიცხელი საფეხბურთო ბატალიების სულისჩამდგმელიც ის იყო. იმაში, რომ ის მატჩები „ქუჩის ფეხბურთის ნამდვილი აკადემია" იყო, იოლად დაგარწმუნებთ — ვინ მოთვლის, რამდენჯერ უბურთავიათ თავიანთი უფროსი მეგობრების გვერდით მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეებს, ალექსანდრე ჩივაძეს. ამ უბანშივე დასდევდა ბურთს ვოვა გუცაევი. აქ აღზრდილთაგან მრავალს უთამაშია ჭაბუკთა საკავშირო ნაკრებში, თბილისის „დინამოს" დუბლშემადგენლობაში, უმაღლესი ლიგის სხვა გუნდებში. ყოველივე ეს გია ნემსაძემ გადმოცემით იცის, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მისთვის ეს მხოლოდ ლამაზი ლეგენდა არ არის...

მახსოვს, გასულ ზაფხულს თბილისის ეროვნული სტადიონის მოედანზე იბერიელმა გიორგი ნემსაძემ ზუსტი და გამიზნული პასი რომ გადასცა თანაგუნდელს, ვილაცამ გვერდით მჯდომს გადაულაპარაკა:

— ეს ბიჭი ფეხბურთელი რომ არ გამხდარიყო, მამამისი შავ დღეს დააყრიდა.

მაშინ ეს სიტყვები ჩემთვის გაუგებარი დარჩა. ახლა კი, როცა საქართველოს გასული წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი 1971 წლის შემდეგ დაბადებულთა შორის გიორგი ნემსაძე ჩემს წინ ზის და მესაუბრება, ვხვდები ყურმოკრული ფრაზის აზრს.

— მამა თავად ფეხბურთელი იყო, ბურთზე უსაზღვროდ შეყვარებული, მაგრამ თვითონ ვერ შეძლო თავისი ოცნება ბოლომდე განეხორციელებინა, „დინამოში" ეთამაშა. ჯერ კიდევ ექვსი წლისა ტრიკოტაჟის ფაბრიკასთან არსებულ გუნდში მიმიყვანა, ვანო შუდრას და ქანი ლექავას მიმგვარა და სთხოვა: ბიჭს მიმიხედეთო. ბატონი ვანო თავის დროზე მამას მწვრთნელიც იყო. ჩვენი გუნდი 35-ე სპეციალიზებულ სკოლას ეკუთვნოდა. სამი წელი აქ ვვარჯიშობდი, შემდეგ კი „ნორჩ დინამოელში" გადავედი, სადაც რეზო გაგუასა და სერგო აპრესიანის მეთვალყურეობით გავაგრძელე წვრთნა.

მამაჩემი ფეხბურთში ბოლომდე „ვერ გაიხსნა", სწორედ ამიტომ, რაც თვითონ აუსრულებელ წადილად დარჩა, სურს მე განვახორციელო; მოკლედ, უნდა თავისი თავი ჩემში იპოვოს.

● ექვსი წლისამ პირდაპირ „აკადემიური" ფეხბურთი დაიწყეთ თუ...

— საფეხბურთო სკოლის გუნდში ყოფნას ჩემთვის ხელი არ შეუშლია ქუჩის „აკადემიაც" გამევლო. ქუჩის ფეხბურთს სხვა ეშხი აქვს და, თუ მე დღეს სპორტსმენი ვარ, დიდი წილი მისიცაა. ჩვენს ქუჩაზე ფეხბურთის მრავალი რიტუალი არსებობდა, რომელიც მამაჩემისა და მისი თაობის კაცებისაგან მოდის. ყოველ კვირა იმართებოდა ასპარეზობა ქუჩებს შორის. უფროსებიც არ გვაკლებდნენ ტაშსა და ოვაციებს. შეჯიბრს რომ მეტი ინტერესი ჰქონოდა, პრიზებსაც ვაწესებდით. ექვსი-რვა წლის ბავშვებს ფული სად გვქონდა, მუყაოსაგან ლამაზ თასებს გამოვჭრიდით, ფერადი ფანქრებითა და ფლომასტერებით გავალამაზებდით და შეხვედრის ბოლოს მეტოქის გუნდს მივართმევდით. ისინიც სამაგიეროთ თასით დაგვასაჩუქრებდნენ ხოლმე. შემდეგ ეს თასი რომელიმე ჩვენგანის სახლში ინახებოდა, რა თქმა უნდა, გამოსაჩენ ადგილას. ერთი სიტყვით, ქუჩის ფეხბურთი ყოველი ჩვენგანის გადიაა. მე დღეს ძალიან მწყდება გული, რომ ჩემი უბანი აღარ არის ისეთი ხმაურიანი, როგორც წინათ — აღარ აგორებენ ისე ხშირად ბურთს; ასე მგონია, ჩემი თაობა უბანში ბურთით გაზრდილების ბოლო თაობაა.



გია ნემსაძე

● წეღან ტრადიციები ახსენეთ. ისიც თქვით, რომ უფროსები ოვაციებით გაგულიანებდნენ. თქვენ თუ გიყვართ პატარების თამაშის ცქერა?

— როცა მე ვთამაშობდი და უფროსი მიყურებდა, მინდოდა, ყველაფერი უკეთ გამომსვლოდა და მიხაროდა, ჩემი თამაში რომ აინტერესებდათ. ახლა მეც სიამოვნებით ვუყურებ პატარებს და ასე მგონია, იმ გაკვალულ გზას მისდევენ, იმ ტრადიციებს აგრძელებენ, თბილისის უბნებს თავისებურ ხიბლს რომ ანიჭებდა.

● საქართველოს პირველ გუნდში სრულიად ყმაწვილი აგიყვანეს. ეს მოგონებაც ალბათ უძვირფასესია თქვენთვის...

— საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვიყავი საერთაშორისო ტურნირზე. ეს ნაკრები, ფაქტობრივად, „დინამოს" საბაზო გუნდს წარმოადგენდა. დაძაბულ ბრძოლაში პირველობა მოვიპოვეთ. ტურნირზე თან გვახლდნენ „დინამოს" მწვრთნელები: შოთა ჭეიშვილი და ნოდარ აკობია. თბილისის აეროპორტში ბატონმა შოთამ მითხრა: ხვალ ბაზაზე მოდიო. იმ სიხარულს ვერ გადმოგცემთ—მაშინ ხომ თხუთმეტი წლისა ვიყავი.

● ხომ ვერ გაიხსენებთ თქვენს პირველ ოფიციალურ ჯილდოს?

— 1982 წელს „ტყავის ბურთის" პირველობაზე დმანისში საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი მომაკუთვნეს.

● შარშანდელი სეზონის ლაურეატთათვის ტრადიციული კითხვა: წელს თუ ელოდით, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ოც წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის თქვენ დაგასახელებდათ საუკეთესოდ?

— მართალი გითხრათ, არ ველოდი, იმიტომ, რომ, ფაქტობრივად, მთელი სეზონი „ჩამივარდა" და ძირითადად სათადარიგო სკამზე მომიხდა ჯდომა. ვფიქრობდი, ბათუმელ ტუღუშს დაასახელებდნენ — საკმაოდ ძლიერი და პერსპექტიული ფეხბურთელია.

● გიორგი, რამდენადაც ვიცი, თქვენ საკავშირო ჭაბუკთა ნაკრების წევრი იყავით. იცით, ალბათ, უფროსი ასაკის ფეხბურთელებს მრავალ წინააღმდეგობას უქმნიდნენ საკავშირო ნაკრებებში. რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ უმცროსებში, რაიმე უსიამოვნო მოგონება ხომ არ გამოგყვათ ნაკრებიდან?

— რა თქმა უნდა. მხოლოდ ერთს გავიხსენებ: „დინამოსთან" ერთად ისრაელში უნდა წავსულიყავით. მოგეხსენებათ, როგორ გვიხარია ქართველებს იქ ჩასვლა და აქედან წასულ ნაცნობ-მეგობართა მონახულება. მანამდე საკავშირო ნაკრებში შეკრება გვქონდა — ვემზადებოდით ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისათვის. თუ კვიპროსში მატჩს მოვიგებდით, შემდეგ ეტაპზე გასულებად უნდა დავვეგულებინა თავი, მე კი ჩემს თანაგუნდელებს ჩამოვუსწრებდი ისრაელში გასამგზავრებლად. ნაკრების ხელმძღვანელს გენადი კოსტილევს ავუხსენი საქმის ვითარება. დამპირდა — თუ კვიპროსში ხუთიანზე ითამაშებ, დანარჩენი თამაშებიდან გაგათავისუფლებო. ის თამაში მოვიგეთ. ურიგოდ არ მითამაშია, მაგრამ მოსკოვში ჩამოსული მწვრთნელმა აღარ გამათავისუფლა, ბაქოში დამპირდა მორიგ შეკრებაზე წაყვანა და ეს ასე ახსნა — ზუსტად ხუთიანზე ვერ ითამაშე, ოთხი პლიუსით გეკუთვნოდაო. შევატყვე, ჩემი სათხოვარი არ ადარდებდა. იმ ღამეს სასტუმროდან გამოვიპარე და, ვიდრე ნაკრები ბაქოში გაფრინდებოდა, მე უკვე თბილისში ვიყავი, აი, ასეთ „დიქტატორულ" პრინციპებთან შეგუება ყოველთვის მიჭირდა.

● ფეხბურთელი თავისი თამაშით სიამოვნებას ანიჭებს როგორც მაყურებელს, ისე საკუთარ თავს. თქვენ რა განიჭებთ სიამოვნებას მოედანზე?

— შეტევა, პასი. როცა კარგ პასს ვაძლევ თანაგუნდელს და ხელსაყრელ პოზიციაში გამყავს, უდიდეს სიამოვნებას განვიცდი, ლამის იმაზე მეტს, ვიდრე გოლის გატანისას.

● ამბობენ, ფეხბურთელს თავისი გატანილი გოლები წლების შემდეგაც რომ გაახსენებინო, ზუსტად აგიწერსო. თქვენ რომელი გოლი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

— 1989 წელს სპარტაკელი პრუდნიკოვის კარში გატანილი გოლი. პასი მოედნის ცენტრის სიახლოვეს ისეთ მდგომარეობაში მივიღე, ვეღარავინ მოვნე, ბურთი მიმეწოდებინა. კარისკენ გავიხედე — მეკარე წინ იყო გამოსული, შორეულ კუთხეში დავარტყი და გოლიც გავიდა.

● მამის გარდა, თუ გყავთ ადამიანი, ვისთვისაც გიხარიათ წარმატება?

— მყავდა... თბილისის ქუჩებში დადიოდა ლამაზთვალება, ცქრიალა გოგონა — ეკა ბეჟანიშვილი, ჩემი ბიძაშვილი, რომელსაც ჩემი გამარჯვება საკუთარივით უხაროდა. ჩემს თამაშს არ გააცდენდა, მეგობრებთან ერთად მოდიოდა ხოლმე სტადიონზე; ეამაყებოდა, თხუთმეტი წლის ბიძაშვილი საქართველოს პირველ გუნდში რომ თამაშობდა. ახლა მე მეამაყება მისი ხანმოკლე, წმინდა სიცოცხლე, ცხრა აპრილს რომ შეწყდა და ყოველი წარმატებისას სწორედ ეკა მახსენდება, ჩემს ყველა გამარჯვებასაც მას ვუძღვნი.

● თქვენი იდეალური ფეხბურთელი?

— უცხოელთაგან მიშელ პლატინი, ხოლო ჩვენთან დავით ყიფიანი — გუნდის გული და გონი.

● რას ისურვებდით?

— მინდა ჩემს ვაჟს, პატარა ვაჟას, ფეხბურთის მაისური ჩაეცვას, ფეხბურთი ხომ მხოლოდ სპორტი არ არის...

ესაუბრა ინგა ჩახვაშვილი.

# ვლადიმერ მარღანიას თასზე

სოხუმში საინტერესოდ წარიმართა საკავშირო ახალგაზრდული ტურნირი ფეხბურთში თბილისის „დინამოს" სახელგანთქმული მეკარის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვლადიმერ მარღანიას თასზე.

ამ ტრადიციულ ტურნირში იასპარეზა სპორტსკოლების ათმა გუნდმა. შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდა. თავიდანვე დაწინაურდა სოხუმის სპორტსკოლის გუნდი (დირექტორი ხ. კიკორია, მწვრთნელი ვ. ობოდინი). მასპინძლებმა ყველა შეხვედრაში გაიმარჯვეს (ბურთების შეფარდებით 31:4) და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზე გავიდნენ ერევნელი სპორტსმენები, მესამეზე — ვლადივოსტოკელები.

პრიზიორებსა და საუკეთესო ფეხბურთელებს ორგანიზატორებმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

თენგიზ ბაჭკორია,
„ლელოს" საკ. კორ.

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

# პრეტენდენტები იწყებენ

ეს-ეს არის, დამთავრდა კასპაროვ-კარპოვის მატჩი მსოფლიო პირველობაზე. ამასობაში კი ბრძოლა იმ მოჭადრაკეთა შორის, რომლებიც 1993 წელს ახალ პაექრობაში აპირებენ ჩაბმას, მეტად მნიშვნელოვან ფაზაში შედის. როგორც ცნობილია, 1989 და 1990 წლებში გაიმართა მსოფლიოს 1993 წლის პირველობის ზონალური და საზონათაშორისო ტურნირები, რომლებმაც დღეისათვის კასპაროვთან შეხვედრის პრეტენდენტთა რიცხვი თხუთმეტამდე შეამცირეს. ჩატარდა მათი მატჩების წილისყრა, რომლის თანახმადაც მერვედფინალში ერთმანეთს ხვდებიან: ტიმანი (ჰოლანდია) — ჰიუბნერი (გერმანია), ივანჩუკი-იუდასინი (ორივე — საბჭოთა კავშირი), გელფანდი (საბჭოთა კავშირი) — ნიკოლიჩი (იუგოსლავია), კორჩნოი (შვეიცარია) — საქსი (უნგრეთი), შორტი — სპილმენი (ორივე — ინგლისი), დოლმატოვი—იუსუპოვი (ორივე— საბჭოთა კავშირი) და დრეევი (საბჭოთა კავშირი) — ანანდი (ინდოეთი). მეტოქეები რვა-რვა პარტიას ითამაშებენ.

მერვედფინალში 7 გამარჯვებულს დაემატება კარპოვი, რომელსაც ეს პატარა შეღავათი აქვს, როგორც მსოფლიო პირველობის უკანასკნელი მატჩის მონაწილეს.

დასაწყისში პრეტენდენტთა მატჩების გამართვის მსურველი ბევრი აღმოჩნდა. ინდონეზიის საჭადრაკო ფედერაციამ ფიდე-სა და დიდოსტატთა საერთაშორისო ასოციაციას სთხოვა ყველა ორთაბრძოლის ჩატარება მისთვის დაევალებინათ, თანხმობაც მიიღო, მაგრამ ბოლო მომენტში, გაუგებარი მიზეზების გამო, ამ განზრახვაზე ხელი აიღო. მაშინ დაიწყო მოლაპარაკება სხვა ორგანიზაციებთან. სასურველია მხოლოდ ერთი რამ — ადრე [illegible] ეს მატჩი დამთავრდეს: 22 თებერვლისათვის, როცა ლინარესში (ესპანეთი) იწყება არნახული სიძლიერის საერთაშორისო ტურნირი კასპაროვის, კარპოვისა და მთელი საჭადრაკო ელიტის მონაწილეობით.

დღეს სარაევოში (იუგოსლავია) იწყება ორი მატჩი: ერთმანეთს ხვდებიან ბორის გელფანდი—პრედრაგ ნიკოლიჩი და იან ტიმანი—რობერტ ჰიუბნერი. რა შეიძლება ითქვას მათ შესახებ? როგორც იუგოსლავიის პრესა წერს, მას შემდეგ, რაც მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლას ასაკს გლიგორიჩი ჩამოსცილდა, ამ ქვეყნის წარმომადგენლებს ვერა და ვერ ეღირსათ პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობა. საქმე ის არის, რომ განთქმული დიდოსტატი ლიუბოევიჩი წარმატებით თამაშობდა ყველა შეჯიბრებაში, მსოფლიო პირველობის ციკლის გარდა, ასე რომ, ნიკოლიჩის მომძლავრება (გავიხსენოთ, რომ იგი მსოფლიო თასის მეორე გათამაშების მონაწილეც იქნება) ამ ქვეყნის ჭადრაკის გულშემატკივრებს ძალიან ახარებთ. მიმომხილველები ამ მატჩში გელფანდის შესაძლებლობებს უფრო მეტად აფასებენ. ისინი ხაზს უსვამენ მის რეიტინგს, რომელიც გაზრდილ დიდ წარმატებებს ემყარება, მის იშვიათ სადებიუტო ერუდიციას და საბრძოლო თვისებებს. როგორც მიმომხილველები ხუმრობით წერენ, 1991 წელს გელფანდს მოელის ორი რამ: წარმატება პრეტენდენტთა შემდგომ ბრძოლაში და... ქორწილი ქუჟა პოლგართან! ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ, თუმცა გელფანდს წინასწარ უპირატესობა ენიჭება ნიკოლიჩთან შედარებით, მაგრამ მოკლე, სულ 8 პარტიისგან შემდგარ მატჩში შეიძლება ყველაფერი მოხდეს. ასე რომ, შორსმიმავალი დასკვნებისაგან სჯობს თავი შევიკავოთ.

თქმა არ უნდა, იგივე რეიტინგის თვალსაზრისით, ტიმანი ჰიუბნერს აღემატება. შესაძლოა ვერ სჯობდეს მას ნიჭით (ჰიუბნერის ნიჭს საკმაოდ აფასებს ბოტვინიკი), მაგრამ უფრო დიდი მებრძოლია. მეტად ემოციური, აღგზნებადი ჰიუბნერი (ნაკლებად დამახასიათებელი თვისება გერმანელთათვის), როცა შეჯიბრება მისთვის არახელსაყრელად წარიმართება ხოლმე, ზოგჯერ საერთოდ „გარბის ბრძოლის ველიდან", ადრე თმობს მატჩს. ერთი სიტყვით, აქ დიდი მნიშვნელობა ექნება პირველ პარტიებს, მაგრამ, ხომ შეიძლება ისინი გერმანელი მოჭადრაკის სასარგებლოდ წარიმართოს?! ორივე ეს მატჩი სარაევოში ერთდროულად იწყება, მაგრამ შეიძლება ერთდროულად არ დამთავრდეს.

დღესვე ვეიკ-ან-ზეეში (ჰოლანდია) ბრძოლას დაიწყებს კიდევ ორი წყვილი: არტურ იუსუპოვი — სერგეი დოლმატოვი და ვიქტორ კორჩნოი — დიულა საქსი. იუსუპოვი და დოლმატოვი ბავშვობიდანვე დიდი მეგობრები არიან, მაგრამ მოხდა ისე, რომ ისინი თავიდანვე უნდა შეეჯახონ ერთმანეთს. მრავალნაცად იუსუპოვს, ალბათ, უპირატესობა აქვს დოლმატოვთან, რომელმაც სულ ახლახან მოიხსნა მსოფლიო ჩემპიონის სეკუნდანტის „მანტია". აქ ისიც გავითვალისწინოთ, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე დოლმატოვმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა და თანდათან „წამოეწია" მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატებს, ჩვენი აზრით, კორჩნოიმ უნდა სძლიოს საქსს. უნგრელი დიდოსტატი მკვეთრად გამოხატული მოიერიშე სტილის მოჭადრაკეა, მაგრამ დაცვისა და კონტრშეტევის ვირტუოზ კორჩნოის სხვა, უფრო დიდი სიძნელეებიც გადაულახავს. გასაოცარია: თუ სპორტული შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, კორჩნოის სრულიადაც არ ეტყობა ასაკი — 60 წელი 23 ივლისს შეუსრულდება.

ინგლისელებს ძალიან ეწყინათ, როცა ნაიჯელ შორტსა და ჯონათან სპილმენს პირველ წრეშივე მოუხდათ შეხვედრა. ისინი 28 იანვარს იწყებენ მატჩს ლონდონში. ორი წლის წინ მათავე შეხვედრაში (მეოთხედფინალში) ყველა ექსპერტი უპირატესობას შორტს ანიჭებდა, მაგრამ (ვადამდე ადრე, სულ 5 პარტიაში!) გაიმარჯვა... სპილმენმა, რომელიც თამაშის დინამიური მანერით ჩამოგავს თავის მოგვარეს, 20-30-იანი წლების განთქმულ ავსტრიელ დიდოსტატ რუდოლფ შპილმანს. ახლანდელი მატჩის შედეგი, პირდაპირ ვიქვათ, სავსებით ბუნდოვანია.

ვასილ ივანჩუკს, პირიქით, უპირატესობას ანიჭებენ ლეონიდ იუდასინთან (ეს მატჩიც დღეს იწყება რიგაში) შეხვედრაში. დღეისათვის ასე ფიქრობს ყველა... იუდასინის გარდა! ლენინგრადელი აღიარებს, რომ ივანჩუკი მასზე უფრო ძლიერია, მაგრამ შეეცდება გამოიყენოს მისი გაუწონასწორებელი ხასიათი — ზედმეტი მგრძნობიარობა, მწვავე რეაქცია ცალკეული დამარცხების შემდეგ. — მოკლე მატჩში ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, — ასე ფიქრობს იუდასინი, რომელიც სულაც არ არის გაწბილებული, რომ წილისყრამ ივანჩუკს შეახვედრა.

ყველაფერი შეიძლება მოხდეს ვისვანათხან ანანდისა და ალექსეი დრეევის შეხვედრაში. მოსკოველმა, შეიძლება ითქვას, დაუთმო ინდოელს, დასთანხმდა ითამაშოს მის მშობლიურ ქალაქ მადრასში (ისინიც დღეს იწყებენ). ინდოელი დიდოსტატი ანანდი ახლა დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ საერთოდ, ჭადრაკის სამყაროშიც. აი, რას წერს მის შესახებ ჟურნალ „ინდია თუდეის" მიმომხილველი: „ჩვენთან გამოჩნდა უნივერსალური მოჭადრაკე, რომელსაც თანაბარი წარმატებით შეუძლია იბრძოლოს როგორც პოზიციურად, ისე ტაქტიკურად, მისი ტალანტი განსაკუთრებით მაინც მიტელშპილში ჩანს". ექსპერტები ხაზს უსვამენ ანანდის ერთ ღირსებასაც — იგი არასოდეს ხვდება ცაიტნოტში, თამაშობს სწრაფად, ლაღად და თავისუფლად, ამასთან, ინდოეთის ჭადრაკის მთავარ იმედად ითვლება: 5 წლის წინ საერთაშორისო ოსტატი გახდა, 1987 წელს მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა ჭაბუკთა შორის; დიდებულად ითამაშა შარშან საზონათაშორისო ტურნირში მანილაში, სადაც ბოლო ტურებში 7 შეხვედრიდან 5,5 ქულა მოაგროვა. ჩემი მიზანია მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების პირველ ათეულში მოვხვდე, შემდეგ კი მეორე პოზიცია დავიკავო. საჭადრაკო გვირგვინზე მხოლოდ ამის შემდეგ ვიფიქრებ — განაცხადა 20 წლის ანანდმა.

მაშ ასე, პრეტენდენტები იწყებენ. არც ისე დიდი ხნის შემდეგ უნდა გაიმართოს მეოთხედფინალური მატჩებიც, საერთოდ კი, პრეტენდენტთა ბრძოლა 1992 წელს უნდა დამთავრდეს.

ზიპი ზამბაკელი

## ემოციებისა და სპორტი

● **ამ დღეებში** ალბერვილის ზამთრის 1992 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი პრეზიდენტი მიშელ ბარნიე შეხვდა ფრანგ და უცხოელ ჟურნალისტებს და ესაუბრა მათ მზადების მიმდინარეობის შესახებ. ამავე დროს, მან განაცხადა, რომ 1991 წლის აგვისტოსათვის სავოიის დეპარტამენტში მიპატიჟებულნი არიან იმ ქალაქების მერები, სადაც კი ჩატარებულა ზამთრის ოლიმპიური თამაშები 1924 წლის შემდეგ. ამ მეგობრულ შეხვედრაზე მოხდება გამოცდილების ურთიერთგაზიარება, მასპინძლები კი ილაპარაკებენ თავიანთ პრობლემებზე.

● **როგორც** უეფა-ს ექსპერტები აღნიშნავენ, ფეხბურთს სულ უფრო აკლდება მაყურებელი და 2000 წლისთვის ალბათ, კრიტიკულ ზღვარს მიაღწევს. მაყურებელთა რაოდენობის 15 პროცენტით შემცირება სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ კრიზისი დაიწყოს. ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირს მიაჩნია, რომ ამ სახიფათო ტენდენციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი რეალური გზა ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე გუნდების რაოდენობის შემცირებაა. ცნობისთვის: იტალიის, ინგლისის, გერმანიისა და ესპანეთის ჩემპიონატებში 16-16 გუნდი მონაწილეობს, პორტუგალიის, საფრანგეთისა და ბელგიის ჩემპიონატებში კი 14-14.

● **სულ მალე** ავსტრიის საკურორტო ქალაქ ზაალბაჰეში ჩატარდება მსოფლიოს 1991 წლის ჩემპიონატი სამთო-სათხილამურო სპორტში. ამასთან დაკავშირებით შვეიცარიელი გულშემატკივრები შეშფოთებული არიან: მათ ჯერ კიდევ არ იციან, ვინ დაიკავებს მსოფლიოს სამთოსათხილამურო სპორტის აღიარებული ლიდერის პირმინ ცურბრიგენის ადგილს გუნდში. შვეიცარიელებს ბოლო იმედად დარჩათ პეტერ მიულერი, მაგრამ ისიც ვეტერანია — წლეულს 33 წელს გადააბიჯებს. სხვათა შორის, მიულერს, რომელიც სწრაფდაშვების უბადლო ოსტატად ითვლება, მსოფლიო თასის გათამაშების ისტორიაში ყველაზე ბევრი ქულა აქვს მოპოვებული. იგი ახლაც, ასაკის მიუხედავად, მთავარი ფავორიტი იქნებოდა, მაგრამ შარშან ვალ-გარდენში მძიმე ტრავმა მიიღო და საკმაოდ დიდი დრო მოანდომა მკურნალობას. თავად სპორტსმენს სწამს, რომ ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევს ავსტრიელებს, რომლებიც ამ ჩემპიონატის უდავო ფავორიტებად ითვლებიან.

● **ფეხბურთელთათვის** იტალია და ესპანეთი წლების მანძილზე სამოთხედ ითვლებოდა. ბოლო დროს, როგორც ჩანს, ამ ორი წმინდა საფეხბურთო ქვეყნის ადგილს მექსიკა იკავებს. თავად განსაჯეთ: ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე თორმეტი გუნდი 62 უცხოელი „ლეგიონერითაა“ დაკომპლექტებული. ვინ არ თამაშობს აქ: 26 არგენტინელი, 12 ჩილელი, 8-8 ბრაზილიელი და ურუგვაელი. მექსიკის ჩემპიონატში თამაშობენ, აგრეთვე, პანამელი, ეკვადორელი, პერუელი ფეხბურთელები და ერთი ინგლისელიც კი.

● **სათხილამურო** ინდუსტრიის მეცენატები შეშფოთებით ეცნობიან მეტეოროლოგიურ მონაცემებს. მათ ეშინიათ, არ გამეორდეს შარშანდელი უამინდობა, რომლის შედეგადაც ფირმებმა მილიარდ დოლარამდე ზარალი განიცადეს. 1990 წლის უთოვლობამ გარკვეული მოგება მოუტანა მხოლოდ ავსტრიის კომპანია „სუფაგს“, რომელიც ხელოვნური თოვლის დამზადების მონოპოლიური უფლებით სარგებლობს. შარშან მან ასეთი მანქანების სარეკორდო რაოდენობა (250) გაჰყიდა იტალიაში, საფრანგეთში, იაპონიაში, სამხრეთ კორეასა და ჩეხოსლოვაკიაში.

# ჩემპიონები და მათი მენეჯერები

**„ნიუ-იორკ ტაიმსის“** აზრით, პროფესიონალი მოკრივე მსოფლიო ჩემპიონი ხდება მხოლოდ ფორმალურად. უმაღლეს ტიტულს, ფაქტობრივად, ეპატრონება მენეჯერი ან მენეჯერთა საბჭო და იგი წარმართავს შემდგომში სპორტსმენის მთელ საქმიანობას.

ძალაუფლებას რინგზე და ბიზნესში სხვადასხვა დროს პარალელურად ფლობდნენ: ჯეკ დემპსი და მისი მენეჯერი ტეკს რიკარდი, ჯო ლუისი და მაიკ ჯეკობსი, როკი მარჩიანო და ჯიმ ნორისი... თანაც, არასდროს არავის არ უცდია მათი ერთმანეთისგან დაცილება.

შარშან ჯეიმს დუგლასის და ევანდერ ჰოლიფილდის ორთაბრძოლას მსოფლიოს პირველობაზე ყველაზე დიდი ინტერესით თვალს ადევნებდნენ მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონები და მათი მენეჯერები, ერთის მხრივ მაიკ ტაისონი, დონ კინგი, ბატჩ ლუისი, მეორეს მხრივ, — ჯორჯ ფორმენი, ბობ არუმი და დან დუვა. თანაც, ტაისონის გუნდი დაუფარავად ქომაგობდა დუგლასს, ფორმენისა კი ჰოლიფილდს.

რამ განაპირობა ასეთი, ერთის შეხედვით არაბუნებრივი, ლოგიკის საწინააღმდეგო დაპირისპირება? საქმე ისაა, რომ პროფესიულ მოკრივეს, უპირველეს ყოვლისა, ევალება კარგად მოემზადოს ბრძოლისათვის, მოიგოს შეხვედრა და საბოლოოდ დაეუფლოს ყველა პროფესიონალისთვის სანატრელ ჩემპიონის ტიტულს. სხვას არაფერს თხოვენ მას, არაფერს ეკითხებიან. მენეჯერის წილად რჩება პრაქტიკული საქმიანობა, საპრიზო ფონდის კონტროლი და რეგულირება. მატჩის ორგანიზაცია და მომავალი კონტრაქტებიც, რა თქმა უნდა, მენეჯერის ინტერესების სფეროა. ამიტომაც ამბობენ, რომ მოკრივეზე ნაკლები ჯაფა არც მენეჯერს ადგას.

ტაისონის მარცხმა დუგლასთან მსოფლიო ჩემპიონის მენეჯერს დონ კინგს მხოლოდ რამდენიმე დღით წაუხდინა გუნება-განწყობილება. მერე კი გაირკვა, რომ მას, როგორც „ჭეშმარიტ“ საქმოსანსა და ბიზნესმენს, ყოველი შემთხვევისათვის დუგლასთანაც (უფრო სწორედ მის მენეჯერთანაც) ჰქონია გაფორმებული კონტრაქტი. შეთანხმების პირობა მარტივი იყო: თუ ტაისონი დამარცხდებოდა, კინგი ხელს არ შეუშლიდა დუგლასსა და მის მენეჯერს ჰოლიფილდთან მატჩის ორგანიზაციაში და ამაში 4 მილიონ დოლარს მიიღებდა (საქმე ის გახლავთ, რომ დამარცხებულ ტაისონს რჩებოდა რევანშის უფლება და მაშინ დუგლას-ჰოლიფილდის მატჩის მთელი შემოსავალი იკარგებოდა. აი, სწორედ ამ უფლების დათმობისთვის იხდიდნენ მომავალი მატჩის ორგანიზატორები 4 მილიონ დოლარს).

როგორც ახლა ვიცით, ჰოლიფილდ-დუგლასის ორთაბრძოლა შედგა. ამ შეხვედრაში ფორმენი და მისი მენეჯერი დუვა ჰოლიფილდს გულშემატკივრობდნენ, მაგრამ აქ უფრო გასაგები სიტუაცია იყო: ჰოლიფილდის გამარჯვების შემთხვევაში ადრე დანიშნული შეხვედრა ფორმენთან, ფაქტობრივად, მსოფლიო ჩემპიონის გამოსავლენ მატჩად გადაიქცეოდა და, ბუნებრივია, საპრიზო ფონდიც შესაბამისად შეიცვლებოდა: ჰოლიფილდისათვის 3-დან 20 მილიონ დოლარამდე, 42 წლის ფორმენისთვის 4-დან 12 მილიონამდე.

ახლა კიდევ ერთი თავსატეხი სიტუაცია წარმოიდგინეთ: ფორმენს, როგორც ზემოთ ვთქვით, ორი მენეჯერი ჰყავს: დან დუვა და ბობ არუმი, რომელიც ამავე დროს ჰოლიფილდის მენეჯერიცაა. საინტერესოა, რა პოზიციას დაიკავებს იგი ჰოლიფილდ-ფორმენის მატჩის შემთხვევაში: მაგრამ ეს უკვე ბობ არუმის პრობლემაა, რომელიც, დარწმუნებული ვართ, ამ პიკანტური სიტუაციიდანაც გარკვეულ სარგებელს მიიღებს.



## „სპორტლოტო“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1991 წლის მეორე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.119.167 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (26) მოგება 2.771 მანეთია, ოთხისთვის (1.233) — 151, სამისთვის (1.457) — 3. (სამი ნომრის გამოცნობისთვის მოგებას მიიღებენ მხოლოდ მე-9 ტირაჟის ჩათვლით მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთებში).

საქართველოში: დაშვებულია 22.371 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—22, 3—16.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 15.042.725 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (9) მოგება 20.000 მანეთია, ოთხისთვის (3.581) — 209, სამისთვის (132.511) — 10.

საქართველოში: დაშვებულია 366.489 ვარიანტი. 5—0, 4—73, 3—3.529.

მე-2 და მე-2 ტირაჟის ჩათვლით მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 2 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით.

* * *

**გაიმართა** 1991 წლის მე-3 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 30 (ძალოსნობა), 42 (ჩოგბურთი), 43 (ტურიზმი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 21 (ცურვა), 27 (მშვილდოსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 35 (ბაიბიანი ჰოკეი).

## „სპორტპროგნოზი“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1991 წლის მეორე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.242.575 ვარიანტი. 13 შედეგი არავის გამოუცვნია. 12 შედეგის გამოცნობისთვის (18) მოგება 4.152 მანეთია, 11 შედეგის გამოცნობისთვის (324) — 922 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 96.459 ვარიანტი. 13—0, 12—1, 11—26.

მეორე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 2 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით.

• • •

### მესამე ტირაჟის შედეგები

**(20 იანვარი)**

1—1, 2—1, 3—2, 4—X, 5—1, 6—1, 7—1, 8—1, 9—2, 10—1, 11—1, 12—1, 13—1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

## „სპორტლოტო 6 45“-დან ლატარიის მოყვარულთა საყურადღებოდ!

**1991 წლის** 1 იანვრიდან ამ ლატარიის გათამაშებაში მოქმედებს ახალი წესები, რომელთა თანახმადაც მოხსნილია მოგების მაქსიმალური ზღვარის შეზღუდვა 6 ნომრის გამოცნობის შემთხვევაში. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ 6 ნომერი არ იქნა გამოცნობილი, პირველი ჯგუფის მოსაგები ფონდი გადაირიცხება მომდევნო ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგებ ფონდში.

წლევანდელ სამ ტირაჟში 6 ნომერი არავის გამოუცვნია. ამ ტირაჟებში დაგროვილი მოსაგები ფონდი 22 ათასი მანეთის ოდენობით დაემატება მეოთხე ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგებ ფონდს.

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტო“ ამიერიდან რეგულარულად გაცნობებთ პირველი ჯგუფის მოსაგებ ფონდში დაგროვილ თანხას.

## ინფორმაცია

**მელბურნი.** ავსტრალიის ღია ჩემპიონატის მეოთხედფინალში მოხდა სენსაცია: მსოფლიოს პირველმა ნომერმა ჩოგბურთელმა, გერმანელმა შტეფი გრაფმა, რომელსაც ეს ტურნირი სამჯერ აქვს მოგებული, განიცადა მარცხი. მას ხანგრძლივ და მომქანცველ ბრძოლაში, რომელიც 2 საათსა და 44 წუთს გრძელდებოდა, აჯობა ჩეხოსლოვაკიელმა იანა ნოვოტნამ 5:7, 6:4, 8:6, რომელიც ნახევარფინალში გაბრიელა საბატინი (არგენტინა) — არანტა სანჩესის (ესპანეთი) მატჩში გამარჯვებულს შეხვდება.

ნახევარფინალში გავიდა, აგრეთვე, იუგოსლაველი მონიკა სელეში (დაამარცხა გერმანელი ანკა ხუბერი — 6:3, 6:1), რომელიც ამ ეტაპზე. ამერიკელ მერი ჯო ფერნანდესთან ითამაშებს.

## დანაშაული და სასჯელი

ლიდერის წინააღმდეგ, რომ გაათკეცებული მონდომებითა და ენერგიით თამაშობენ, გასაგებია. მაგრამ მონდომება, ზოგჯერ ბრმა სურვილში გადადის და მაშინ, როგორც წესი, ათასგვარი უდისციპლინობა, წესრიგის დარღვევა და ზოგჯერ კრიმინალიც კი ხდება.

დალასში ადგილობრივი გულშემატკივრები, ცხადია, თავის კლუბს ქომაგობდნენ, თანაც სამხრეთელებისთვის დამახასიათებელი გატაცებითა და ტემპერამენტით. მით უფრო, რომ „დალას მავერიკსი“ ამ დღეს ნბა-ს პროფესიონალ კალათბურთელთა ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს (შუა დასავლეთის დივიზიონი) „სან-ანტონიო სპერსს“ ხვდებოდა. მასპინძლებმა მატჩის პირველ ნახევარში ერთგვარ უპირატესობას მიაღწიეს, მაგრამ ლიდერმა თანდათან გაათანაბრა თამაში, ხელთ იგდო ინიციატივა და ბოლოს, როგორც მოსალოდნელი იყო, დაწინაურდა კიდეც.

მატჩის მსვლელობის ასეთი ტრანსფორმაცია არავის გაკვირვებია დალასელთა მწვრთნელის რიჩ ადუბატოს გარდა. მან ყველაფერი მსაჯებს დააბრალა და მათი დასჯა გადაწყვიტა იმით, რომ ჯერ ერთი არბიტრი — ბობ დელანი გააგდო მოედნიდან, მერე მას მეორეც მიაყოლა. მატჩის დამთავრების შემდეგ (დალასელებმა წააგეს ეს ორთაბრძოლა ანგარიშით 94:100) ტელეკომენტატორთან საუბარში მწვრთნელმა უხამსი სიტყვებით მოიხსენია ნბა-ს ლიგის ხელმძღვანელები და მათ არბიტრებთან ერთად „დალას მავერიკსის“ წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა დააბრალა.

ერთი სიტყვით, რიჩ. ადუბატო ამ დღეს განწირული იყო და შესაბამისი სასჯელიც დაიმსახურა. ნბა-ს ლიგის სააპელაციო ჟიურიმ მას ერთი თამაშით დისკვალიფიკაცია და 1500 დოლარი ჯარიმა მიუსაჯა.

რაც შეეხება „სან-ანტონიო სპერსს“, მან მომდევნო შეხვედრაც ასევე წარმატებით ჩაატარა და მიმდინარე სეზონში 26-ედ გაიმარჯვა, ამჯერად, „დენვერ ნაგეტსთან“ — 117:108. „სან-ანტონიოსთან“ დაკავშირებით, საინტერესოა ერთი ნიუანსის აღნიშვნაც: იგი ნბა-ს ლიგის ერთადერთი კლუბია, რომელსაც არ წაუგია ორი შეხვედრა ზედიზედ.

ახლა კი სატურნირო ცხრილებს გადავხედოთ:

### აღმოსავლეთის კონფერენცია:

**ატლანტის დივიზიონი**

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| „ბოსტონი“ | 20 | 8 | 784 |
| „ფილადელფია-76“ | 22 | 16 | 579 |
| „ნიუ-იორკ ნიკსი“ | 16 | 21 | 532 |

**ცენტრალური დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჩიკაგო“ | 27 | 11 | 711 |
| „დეტროიტი“ | 27 | 12 | 692 |
| „მილუოკი“ | 27 | 13 | 675 |

### დასავლეთის კონფერენცია

**შუა დასავლეთის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „სან-ანტონიო“ | 26 | 10 | 722 |
| „იუტა-ჯაზი“ | 26 | 13 | 667 |
| „ჰიუსტონი“ | 20 | 18 | 526 |

**წყნარი ოკეანის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „პორტლენდი“ | 34 | 7 | 829 |
| „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ | 25 | 11 | 694 |
| „ფენიქსი“ | 25 | 12 | 676 |

რედაქტორის მოადგილე
თამაზ მიგრიაული

საქართველოს სპორტსახკომი, ჭადრაკის ფედერაცია და ჭადრაკის რესპუბლიკური სასახლე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ირაკლი მიხეილის ძე საყვარელიძე**
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ბ. ქორქია, კორექტორები მ. ძეძამიძე და ც. ჩიტიშვილი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20